ბრიუსელი, 26 მაისი 2011 წ.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში შემუშავებული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში – საქართველო 2010 წელი

2011 წლის 26 მაისს ევროკომისიამ და ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში გამოაქვეყნეს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ყოველწლიური '„პაკეტი სანეზობლოსთვის", რომელშიც შედის: კომუნიკაცია განახლებული ევროპის სამეზობლო პოლიტიკის დაწყების შესახებ, 12 ანგარიში ევროპის სამეზობლო პოლიტიკის წევრ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, მიღწეული ცვლილებების შესახებ, სექტორული ანგარიში და ანგარიში აღმოსავლეთ პარტნიორობის შესახებ.

2010 წლის მაისში პირველად განხორციელდა თბილისის მერის პირდაპირი არჩევნები, რომელიც მშვიდ გარემოში ჩატარდა. საკონსტიტუციო კომისიის მიერ შემუშავდა და პარლამენტის მიერ 2010 წლის ოქტომბერში დამტკიცდა ცვლილებები საქართველოს კონსტიტუციაში. ეს საკონსტიტუციო რეფორმები მიზნად ისახავდა ხელისუფლების შტოებს შორის უკეთესი ბალანსის დამყარებას, რაც გულისხმობს პრეზიდენტის უფლებამოსილების შემცირებას, პარლამენტის როლის გაძლიერებას და სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის განმტკიცებას. თუმცა, ახალი ცვლილებები არ იძლევა პარლამენტის ზედამხედველობითი ფუნქციის განხორციელების გარანტიას, ვინაიდან მათ საფუძველზე პარლამენტისათვის ძალიან რთულია ხელისუფლებისთვის უნდობლობის გამოცხადება. კონსტიტუციური რეფორმების პროცესი და ტემპი ასევე კრიტიკის საგანია.

2010 წელს საქართველომ მიაღწია წინსვლას ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის პრიორიტეტების განახორციელებაში, განსაკუთრებით მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირებაში, არჩევნების ჩატარების გაუმჯობესებაში, კონსტიტუციურ რეფორმაში, ქალთა უფლებებთან, ვაჭრობასა და ბიზნესთან დაკავშირებულ სფეროებში, რეგიონულ განვითარებასა და ადმინისტრაციული კორუფციის დაძლევაში. ერთერთი მთავარი მიღწევა იყო ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ძალაში შესვლა 2010 წლის ოქტომბერში. 2011 წელს ამ ძალისხმევის გაგრძელებას და კანონმდებლობის ეფექტურ განხორციელებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ამ რეფორმებს გრძელვადიანი წარმატების უზრუნველსაყოფად. საქართველომ მეტი ძალისხმევა უნდა მოახმაროს დემოკრატიის განმტკიცებას ისეთ სფეროებში, როგორიცაა პოლიტიკური ურთიერთობები და მედია პლურალიზმი. სხვა ძირითადი გამოწვევებია: ეროვნული უმცირესობების უფლებები და ინტეგრაცია, ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ მაღალი რანგის თანამდებობის პირებს შორის, გაერთიანების თავისუფლების, შრომის უფლებების, დასაქმებისა და სოციალური პოლიტიკის გაძლიერება, სიღარიბის დაძლევა და სოფლის მეურნეობის განვითარება.

მოლაპარაკებები ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების თაობაზე დაიწყო 2010 წლის ივლისში და კარგი ტემპებით

ვითარდებოდა. მოლაპარაკებების "ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების" თაობაზე ჯერ არ დაწყებულა.

პოლიტიკური დიალოგი და მმართველობა, ევროპის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ჩათვლით

- 2010 წლის მაისში საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანის შემდეგ, პირველად განხორციელდა თბილისის მერის პირდაპირი არჩევნები. არჩევნების დროს არსებული მშვიდი გარემო საერთაშორისო სტანდარტების დაკმაყოფილების გზაზე არსებული პროგრესის მაჩვენებელია, თუმცა აღინიშნა რიგი ნაკლოვანები წინასაარჩევნო და არჩევნების შემდგომ პერიოდში.
- 2010 წლის ოქტომბერში პარლამენტმა მიიღო საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლებიც ნერგავენ ხელისუფლების შტოთა უფრო დაბალანსებული გამიჯვნას, განსაკუთრებით პრეზიდენტისა და პარლამენტის ძალაუფლებას შორის და აძლიერებენ სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის (უვადოდ დანიშვნის უზრუნველყოფა). ცვლილებების უმეტესობა ძალაში შევა 2013 წელს, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ.
- ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ძალაში შევიდა 2010 წლის ოქტომბერში. Kკოდექსის შესაბამისად ინერგება მნიშვნელოვანი ცვლილებები სისხლის სამართლის სისტემაში, მაგალითად ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი. ახალი კოდექსის დასანერგად განხორციელდა ინტენსიური მუშაობა და ტრეინინგები. უფასო იურიდიული დახმარების სამსახური აგრძელებდა მოქალაქეების დახმარებას სამართლის ხელმიწვდომობის უზრუნველსაყოფად, მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებში მისი გამოყენება ჯერ არ ხდება.
- პროგრესი არ აღინიშნა საჯარო სამსახურის რეფორმის მიმართულებით და მხოლოდ შეზღუდული წინსვლაა მიღწეული დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული სტრატეგიის განვითარებასთან დაკავშირებით (2010 წელს მიღებულ იქნა მხოლოდ სამოქმედო გეგმა).
- წარმატება იქნა მიღწეული ადმინისტრაციული კორუფციის აღმოფხვრის მიმართულებით. ამ თვალსაზრისით 2010 წელს მიღებულ იქნა ახალი სტრატეგია.
- საქართველოს ხელი აქვს მოწერილი ადამიანის უფლებების ძირითად საერთაშორისო და რეგიონული ინსტრუმენტებზე და მათ დამატებით ოქმებზე. ომბუდსმენი (საზოგადოებრივი დამცველი) აგრძელებს ქვეყანაში ადამიანის უფლებების მდგომარეობის დამოუკიდებელ მონიტორინგს. მისმა აპარატმა პირველად ჩაატარა მონიტორინგი გაეროს წამების საწინააღმდეგო კონვენციის (OPCAT) დამატებითი ოქმის შესაბამისად. პროგრესი აღინიშნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმაში, როდესაც 2010 წლის თებერვალში სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი გაიზარდა 12-დან 14 წლამდე.
- დამამცირებელი პირობები დაკავების ადგილებში შეშფოთების საგნად რჩება, ისევე როგორც გამჭვირვალობის ნაკლებობა მედიის მფლობელობასთან დაკავშირებით და საჯარო ინფორმაციის მოპოვების სირთულე. წინსვლა არ აღინიშნება ეთნიკური, რელიგიური და სექსუალური უმცირესობების ინტეგრაციისა და უფლებების საკითხებში, ვინაიდან ეროვნული ინტეგრაციის სტრატეგიას არ მოჰყოლია შემდგომი ნაბიჯები. თუმცა 2010 წლის მარტში პარლამენტმა მიიღო კანონის გენდერული თანასწორობის შესახებ.
- 2010 წელს საქართველო შეუერთდა "ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის" (CFSP) მისთვის გახსნილი 44 დეკლარაციიდან 24-ის. ევროკავშირთან პოლიტიკური დიალოგი მოიცავდა პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტის ორ პოლიტიკური დიალოგს და ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის

საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელისა და გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის კომისრის ვიზიტს 2010 წლის ივლისში.

- 2010 წლის მარტში ამოქმედდა სამხრეთი კავკასიის ინტეგრირებული საზღვრის მართვის პროგრამა (SCIBM).
- საქართველომ განიხილა და განაგრძო იძულებით გადაადგილებული პირების შესახებ სამოქმედო გეგმის განხორციელება. მაშინ როდესაც მომზადდა ამ საკითხზე ახალი სტრატეგია, დევნილები გამოასახლეს თბილისში უკანონოდ დაკავებული შენობებიდან. ევროკავშირი კვლავ მტკიცედ სცემს პატივის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობასა და სუვერენიტეტს და მხარს უჭერს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტას. ის სრულად ახორციელებს მის მიერ აღთქმულ ომის შემდგომ დახმარებას, უზრუნველყოფს რა სახსრებს, მაგალითად, დევნილთა სახლებისთვის.
- 2010 წელს გაიმართა "ჟენევის მოლაპარაკებების" 6 რაუნდი. ევროკავშირი კვლავ აგრძელებდა რუსეთზე 2008 წლის აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიხედვით ნაკისრი ვალდებულებების შეხსენებას. ევროკავშირის სამოქალაქო სადამკვირვებლო მისიის (EUMM) მანდატი გაგრძელდა ერთი წლით. 2010 წლის ივლისში საქართველომ დაამტკიცა სამოქმედო გეგმა "ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ სტრატეგიის" განხორციელებისათვის, რომლის მიზანია შეამციროს იზოლაცია და გააუმჯობესოს საცხოვრებელი პირობები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. წლის 23 ნოემბერს ევროპარლამანტის წინაშე გამოსვლისას პრეზიდენტმა სააკაშვილმა გააჟღერა ცალმხრივი "ძალის გამოუყენებლობის" ვალდებულება, განაცხადა რა რომ საქართველო ამ ორი სეპარატისტული რეგიონზე კონტროლის აღსადგენად გამოიყენებს მხოლოდ მშვიდობიან საშუალებებს.

ეკონომიკური ინტეგრაცია და ვაჭრობა

- საქართველოს ეკონომიკას 2010 წელს გამოცოცხლების ნიშნები დაეტყო. რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი გაიზარდა 6,3%-ით, მიუხედავად იმისა, უმუშევრობის დონე კვლავაც დაახლოებით 15% იყო.
- ხელისუფლება აგრძელებდა საბიუჯეტო და მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებას, თუმცა - სავაჭრო დეფიციტის შედეგად - მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი დიდი იყო: მშპ-ის 11.6%. საქართველოს ექსპორტი კვლავაც განიცდიდა ზარალს რუსეთის სავაჭრო ემბარგოს შედეგად. მაშინ, როდესაც ევროკავშირში ექსპორტი კვლავ დაბალია, "GშP +"-ის ფარგლებში არსებული შესაძლებლობები არ არის სათანადოდ გამოყენებული. გარდა ამისა, 2010 წელს შემცირდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.
- საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელშეწყობის შეთანხმება საქართველოსთან გაგრძელდა 2011 წლამდე, რითიც მთლიანობაში ხელმისაწვდომი რჩება საერთაშორისო სავალუტო ფონდის რესურსები 1.17 მლრდ აშშ დოლარის ოდენობით.
- დამაფიქრებელი რჩება სიტუაცია გაერთიანების თავისუფლებისა და დამსაქმებელთან კოლექტიური მოლაპარაკებების უფლებისა და მისი დაცვის შესახებ კონვენციების განხორციელებასთან დაკავშირებით. თუმცა, სოციალური დიალოგის მიმართულებით მიღწეული იქნა შეთანხმება შრომის კოდექსში პროფესიული კავშირების წინააღმდეგ დისკრიმინაციის საწინააღმდეგოდ ცვლილებების შეტანის თაობაზე. 2010 წლის მთავრობამ მიიღო სამოქმედო გეგმა ბავშვზე ზრუნვის სისტემის ძირითადი მიმართულებების შესახებ.
- ორმხრივი ვაჭრობა ევროკავშირთან გაიზარდა, 2010 წელს ევროკავშირიდან იმპორტი საქართველოში გაიზარდა 31,6%-ით, ხოლო ექსპორტი ევროკავშირში გაიზარდა 7,1%-

ით. ივლისში ევროკავშირმა და საქართველომ დაასრულეს მოლაპარაკებები მათი "გეოგრაფიული ინდიკატორების" ორმხრივი დაცვის შესახებ. საქართველომ ასევე მიიღო სურსათის უვნებლობის სტრატეგია, რომელიც ევროკავშირის კრიტერიუმებთან ჰარმონიზაციას უწყობს ხელს.

- 2010 წლის სექტემბერში საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი საგადასახადო კოდექსი. გრძელდება რეფორმები კონკურენციის, ინტელექტუალური საკუთრების უფლების, სახელმწიფო ფინანსებისა და კონტროლის სფეროში.

მობილურობის ხელშეწყობა, უკანონო მიგრაციასთან ბრძოლა

- საზღვრის მართვის სფეროში საქართველომ გააგრძელა საზღვრის ინტეგრირებული მართვის სამოქმედო გეგმის განხორციელება, და აქტიურად მონაწილეობს შჩIBM-ის პროგრამაში. FღONთEX-თან გაფორმდა ორწლიანი ხელშეკრულება არალეგალურ მიგრაციასა და ტრანსნაციონალურ დანაშაულთან საბრძოლველად. საქართველომ ასევე ევროკავშირთან ხელი მოაწერა შეთანხმებას სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის თაობაზე, რომელიც ძალაში შევიდა 2011 წლის მარტში.
- ადამიანების ტრეფიკინგის, ნარკოტიკების, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის შედეგები არაერთგვაროვანი იყო.

სექტორული თანამშრომლობის მაგალითები

- **ტრანსპორტი**: ტრანსპორტის სფეროს ადმინისტრირება დაექვემდებარა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს. საქართველომ მიიღო დეტალური გეგმა 2009 წლის საგზაო უსაფრთხოების სტრატეგიის განხორციელებისათვის. დეკემბერში 2010 მან ევროკავშირთან ხელი მოაწერა შეთანხმებას ყოვლისმომცველი საჰაერო მიმოსვლის შესახებ და განზრახული აქვს დაიბრუნოს აღიარების სერტიფიკატები საქართველოს საზღვაო გადამზიდველებისთვის, რომლებიც მათ 2010 წლის ბოლოს ჩამოერთვათ.
- **გარემოს დაცვა:** მეორე ეროვნული გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმით პრიორიტეტად განისაზღვრა კლიმატის ცვლილება, ასევე, ნარჩენების მართვა. კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი (ღEჩ) აგრძელებდა საქმიანობას, მათ შორის ისეთ სფეროებში, როგორიცაა ინფორმაცია და საზოგადოების თანამონაწილეობა.
- **ენერგეტიკა**: გაძლიერდა დიალოგი. ენერგეტიკის ქვეკომიტეტის პირველი სხდომა თბილისში 2010 წლის ოქტომბერში გაიმართა. საქართველომ უზრუნველყო ნავთობისა და გაზის ტრანზიტი ბაქო-თბილისი-ჯეიხანის/ერზრუმის მილსადენებით. 2011 წლის სექტემბერში საქართველომ მიიღო AGღI-ის პროექტი (აზერბაიჯანის, საქართველოსა და რუმინეთის ურთიერთკავშირი თხევადი ბუნებრივი აირის აზერბაიჯანიდან ევროკავშირში საქართველოს შავი ზღვის ტერმინალის გავლით ექსპორტის მიზნით). საქართველომ ასევე ცვლილებები შეიტანა კანონში ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის შესახებ, ენერგომომარაგებაში მესამე მხარის დაშვების კუთხით.
- **კომუნიკაცია**: დაინერგა ფიქსირებული და მობილური ტელეფონის ნომრის პორტირება.
- **სოფლის მეურნეობა**: გაგრძელდა წარმოების კლების ტენდენცია.

- **სამეცნიერო კვლევა**: გაიზარდა საქართველოს მონაწილეობა მე -7 ჩარჩო-პროგრამაში, 24 კვლევითი ჯგუფის განაცხადმა მიიღო ევროკავშირის დაფინანსება 1.7 მილიონი ევროს ოდენობით.
- **განათლება**: გამოცხადდა შემდგომი განათლების რეფორმები, მათ შორის უმაღლესი და საშუალო პროფესიულ განათლებისა და ტრეინინგის სფეროში. 2010 წელს, ერაზმუს მუნდუსის გრანტების წყალობით, 63 ქართველი სტუდენტი და მკვლევარი სწავლას აგრძელებდა ევროკავშირის უნივერსიტეტებში.
- **კულტურა**: საქართველომ მონაწილეობა მიიღო 2010 წლის სპეციალურ ღონისძიებაში ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნებისათვის, კულტურის პროგრამის ფარგლებში.
- **ჯანდაცვა**: კვლავ მოითხოვს რეფორმებს. დამყარდა კომუნიკაციის არხები ევროკომისიასთან ეპიდემიოლოგიური ინფორმაციის გაცვლის მიზნით.

ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორია

პოლიტიკა

ევროპის სამეზობლო პოლიტიკა განსაზღვარვს და არეგულირებს ურთიერთობებს ევროკავშირსა და საქართველოს შორის. 2009 წელს ევროკავშირმა აამოქმედა აღმოსავლეთის პარტნიორობა, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთის განზომილება, რომლის მიზანია ურთიერთობების გაღრმავება ექვს აღმოსავლეთის მეზობელთან შემდეგი მიმართულებებით:

- ორმხრივი მიმართულება, რომლის ერთ-ერთი ამოცანაა სათანადო პირობების დაკმაყოფილების შემდეგ ასოციცირების შესახებ შეთანხმების და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ზონების შექმნა, ასევე პროგრესი ვიზებისა და მობილურობის საკითხებში.

- მრავალმხრივი მიმართულება (ე.ი. მთავრობათაშორისი პლატფორმები და ერთიანი ინიციატივები).

ეს მიდგომა თანდათანობითი პოლიტიკური ასოცირებისა და უფრო ღრმა ეკონომიკური ინტეგრაციის საშუალებას იძლევა.

ფაქტები და ციფრები

1999 წ.: ძალაში შევიდა ევროკავშირისა და საქართველოს ხელშეკრულება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ.

2005 წ.: მიღებულ იქნა ევროკავშირისა და საქართველო სამოქმედო გეგმა

2008 წ.: 2008 წლის აგვისტოს ომი რუსეთთან. ის ევროკავშირის ჩარევის შედეგად შეჩერდა. ევროკავშირმა ჩამოაყალიბა სამოქალაქო მონიტორინგის მისია (340 დამკვირვებელი) და საკუთარი ბიუჯეტიდან უზრუნველყო 500 მილიონ ევრომდე მოცულობის პოსტ-კონფლიქტური დახმარების პაკეტი. შემდგომში მობილიზებულ იქნა ევროკავშირის სამოქალაქო დაცვის მექანიზმი (MIC) რომელმაც ხელი შეუწყო ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან სამოქალაქო დაცვის დახმარების ჩამოსვლასა და გამოყენებას

2008-2009 წწ.: საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დამტკიცდა 18 თვიანი დახმარების პაკეტი, რომელიც 2009 წლის აგვისტოში გაგრძელდა 2011 წლის ივნისამდე და გაიზარდა 835.7 მილიონ ევრომდე. დამატებით ევროკომისიამ უზრუნველყო 46 მილიონი ევროს მოცულობის მაკროსაფინანსო დახმარება.

2007-2010 წწ.: ENPI-ის[1] პაკეტი საქართველოსათვის 120.4 მილიონ ევროს შეადგენს.

2009 წლის – სამეზობლოს საინვესტიციო მექანიზმი – დამტკიცდა ერთი პროექტი (თბილისის რკინიგზის შემოსავლელი გზის ეკოლოგიური დასუფთავება), რაზეც გრანტის სახით 8.5 მილიონი ევრო გამოიყო და რომელსაც შეუძლია მოიზიდოს 253.5 მილიონ ევროს ოდენობის მოსალოდნელი დაფინანსება.

2010 წ.: ასოცირების შესახებ შეთანხმების თაობაზე მოლაპარაკების დაწყება ევროკავშირთან.

2011-2013 წწ.: 2010 წელს მიღებულ იქნა ახალი ეროვნული ინდიკატიური პროგრამის (NIP) საქართველოსათვის 2011-13 წლებისათვის და მისი ბიუჯეტი 180.3 მლნ. ევროს შეადგენს. პროგრამა იმ ძირითადი სტრატეგიული მიზნების მხარდაჭერაზეა ორიენტირებული, რომლებიც განსაზღვრულია ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმაში (AP) და ხელს უწყობს ოთხი ძირითად პრიორიტეტის შესრულებას, ესენია: (1) დემოკრატიული განვითარების, კანონის უზენაესობისა და კარგი მმართველობის მხარდაჭერა (2) ეკონომიკური განვითარებისა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელების ხელშეწყობა; (3) სიღარიბის შემცირება და სოციალური რეფორმები და (4) საქართველოს შიდა კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების ხელშეწყობა.

2011 წელს ძალაში შევიდა ხელშეკრულება სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის თაობაზე.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ ინტერნეტში შემდეგ მისამართზე::

http://ec.europa.eu/world/enp/documents_en.htm

http://ec.europa.eu/external_relations/georgia/index_en.htm

http://ec.europa.eu/world/enp/index_en.htm

[1] ევროპის სამეზობლოს პარტნიორობის ინსტრუმენტი